# შირაქი

№48 (10.103)
23—30 დეკემბერი, 2023 წელი
ყოველკვირეული გამოცემა
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
ფასი: 60 თეთრი

# მთავარი ფინანსური დოკუმენტი დაამტკიცეს

**20 დეკემბერს გაიმართა დედოფლიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. სხდომის მთავარ თემას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება წარმოადგენდა.**



ნუგზარ პაპიაშვილმა კიდევ ერთხელ ისაუბრა 2024 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პრიორიტეტებზე და საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმისკენ მოუწოდა. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მამუკა სეფიაშვილმა განაცხადა, „კომისიის სხდომაზე ვიმსჯელეთ ბიუჯეტის შესახებ, ყველა მუხლი დეტალურად გავიარეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბიუჯეტის ამ სახით მიღება განაპირობებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასა და მოქმედი ორგანიზაციების უწყვეტ ფუნქციონირებას“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი 13 მლნ 860 000 ლარით განისაზღვრა. როგორც საკრებულოს სხდომაზე გაკეთდა განმარტება, წლის ბოლომდე დედოფლისწყაროს ბიუჯეტი მკვეთრად გაიზრდება, ისევე, როგორც ეს 2023 წელს მოხდა. კერძოდ, საუბარია ტრანსფერებსა და გრანტებზე, რომლებიც როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე სხვადასხვა ფონდიდან მობილიზდება. დაინტერესებული მხარეების ყველა კითხვას მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა ამომწურავად უპასუხა.

მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების პაკეტი 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 100 000 ლარით გაიზარდა და მან მთლიანობაში 1 მლნ 13 700 ლარი შეადგინა. 312 000 ლარით განისაზღვრა „სათნოების სახლის“ ბიუჯეტი, ხოლო დანარჩენი თანხები მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებს მოხმარდება. „სოციალურ პაკეტს ახალი პროგრამები დაემატება. მიმდინარეობს მუშაობა ამ პროგრამების დახვეწასთან დაკავშირებით“-განაცხადა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დოდო ხუნაშვილმა.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა დაამტკიცეს დედოფლისწყაროს 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი და ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხებიც განიხილეს. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 დეკემბრის №34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე; „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;



„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2024 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

**ინგა შიოლაშვილი**

## 30 დეკემბერს გიწვევთ საახალწლო კონცერტზე

30 დეკემბერს, დედოფლისწყაროში მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, საახალწლო ღონისძიება გაიმართება.

ღონისძიების ადგილი: **დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია**

საახალწლო პროგრამის დასაწყისი: 14:00

14:00 ღონისძიების გახსნა მოსიარულე ორკესტრის მსვლელობით

14:00-19:00 ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, კვების სივრცე: გლინტვეინი, ჰოთ დოგი, პოპკორნი, ყავა, ჩაი

14:00-18:00 ანიმატორების საბავშვო პროგრამა

14:30-18:00 საბავშვო სივრცე: ელფების სახელოსნო

15:00-16:30 ზღაპრის გმირების საზეიმო მსვლელობა, ბავშვების შეხვედრა თოვლის პაპასთან. საჩუქრები.

16:00-17:00 ქიმიური შოუ

17:00-17:30 მოსიარულე ორკესტრის მსვლელობა

18:00-20:00 კონცერტი: **სოფო გელოვანი, გიორგი სუხიტაშვილი, ნეკა სებისკვერაძე, ანი კეკუა, ნოდიკო ტატიშვილი,** ეთნო ჯაზ ჯგუფი „ირიაო“, წამყვანი ნანიკო ხაზარაძე

კონცერტს მუსიკალურად აფორმებს ბენდი: ბასი - ლევან დეისაძე, დრამი - ზაზა ცერცვაძე, კლავიში - ლუკა თოფურია და ნინო გულიაშვილი, გიტარა - გიგი ცინცაძე, პერკუსია - დიტო საკანდელიძე

20:00 საზეიმო ფოიერვერკი

ერთად აღვნიშნოთ ახალი წლის დღეები!

# დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ახალ 2024 წელს!

# დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სრული რეაბილიტაცია იგეგმება

***ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,EU4ITD" — ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი" (CESL) ფარგლებში დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სრულ რეაბილიტაცია იგეგმება. პროექტს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანზიაცია ახორციელებს, ხოლო მუზეუმის რეაბილიტაცია დედოფლისწყაროს თვითმმართველობასთან ერთად განხორციელდება.***

შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებას ხელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კახეთის რეგიონში პროექტის წარმომადგენელთან, ზურაბ წიგნაძესთან ერთად მოაწერა.

პროექტი მიზნად ისახავს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის გზით, შექმნას ხელსაყრელი გარემო ვიზიტორთა ნაკადების მოსაზიდად, გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების მოსაწყობად, სამეცნიერო კონფერენციების ჩასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო წრეების, შემოქმედი ადამიანების, სტუდენტი ახალგაზრდობის მოზიდვას და ინტეგრირებულ ადგილობრივ განვითარებას, ასევე ბიზნესის სფეროში მოქმედი ადგილობრივი მეწარმე სუბიექტების ბმას კულტურულ და შემოქმედებით ტურიზმთან, რეგიონის პოპულარიზაციას, მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ჭრილში.



## „წამლების ჩამონათვალი, რომელზეც რეფერენტული ფასი მოქმედებს, გაფართოვდა“

წამლების ჩამონათვალი, რომელზეც რეფერენტული ფასი მოქმედებს, გაფართოვდა. ფასის ზედა ზღვარი, ჯამში, 5 000-ზე მეტ მედიკამენტზეა განსაზღვრული. ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

მათივე ცნობით, რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმი იმ წამლებზეც გავრცელდა, რომლებზეც ფარმაცევტულ ქსელებს ჭარბი ფასნამატი ჰქონდათ განსაზღვრული და იმპორტის ფასთან შედარებით 1000%, 2000% და 3000%-ით ძვირად ყიდდნენ.

„რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმი ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტებზე, ანტიბიოტიკებზე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე, ანტიჰისტამინურ, ანთების საწინააღმდეგო, ფსიქოლეფსიურ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მოქმედ, ტკივილგამაყუჩებელ, ფსიქოტროპულ, ანტივირუსულ და ანტიჰელმინთურ წამლებზე მოქმედებს.

წამლების ჩამონათვალი, რომლებზეც ფასის ზედა ზღვარი მოქმედებს ეტაპობრივად გაფართოვდება და ფარმაცევტულ ბაზარზე, აქტიურად მიმოქცევაში არსებული მედიკამენტების მოცვა სრულად მოხდება.

რეფორმის მიზანი, მოქალაქეებისთვის მედიკამენტებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. რეფორმა ფარმაცევტული პროდუქტის ფასებს საშუალოდ, 40%-ით ამცირებს.

მედიკამენტების ჩამონათვალისა და მაქსიმალური ზღვრული ფასის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულ გვერდზეა განთავსებული: https://referenceprice.moh.gov.ge/ui/#/main",- ნათქვამია ინფორმაციაში.

# ,,გარანტირებულად შემიძლია გითხრათ, რომ უკრაინასა და მოლდოვაზე ადრე შევალთ ევროკავშირში"

***შარშანაც გვეკუთვნოდა მოლაპარაკებების გახსნა, არათუ კანდიდატის სტატუსის მიღება და მითუმეტეს, გვეკუთვნის ეს 2024 წლის დეკემბერში. იმედი გვაქვს, რომ მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება, - ამის შესახებ „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.***

კობახიძე დარწმუნებულია, რომ საქართველო უკრაინასა და მოლდოვაზე უფრო ადრე შეძლებს ევროკავშირში გაწევრიანებას, მიუხედავად იმისა, რომ მან უფრო გვიან მიიღო კანდიდატის სტატუსი. საკუთარი აზრის გასამყარებლად, კობახიძემ აღნიშნა, რომ საქართველო უკრაინასა და მოლდოვას ბევრი მიმართულებით მათ შორის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებით კუთხითაც უსწრებს.

„არ იქნება 2024-ში, იქნება 2025-ში, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ 2024-ში უნდა იყოს უკვე მიღებული ეს გადაწყვეტილება. შარშანაც გეკუთვნოდა უკვე მოლაპარაკებების გახსნა, არათუ კანდიდატის სტატუსის მიღება. თუმცა პოლიტიკური საკითხია, ამაში ჩვენ ღრმად ვერ შევალთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შარშანაც გვეკუთვნოდა მოლაპარაკებების გახსნა და მითუმეტეს, გვეკუთვნის ეს 2024 წლის დეკემბერში. იმედი გვაქვს, რომ მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება.

ჩვენ ყველა შემთხვევაში დავამტკიცეთ, რომ როგორი ტურბულენტური პოლიტიკური პროცესებიც არ უნდა გავიაროთ, საბოლოო ჯამში, ვახერხებთ მიზნის მიღწევას. ეს გამოჩნდა ძალიან კარგად კანდიდატის სტატუსის შემთხვევაში. იყო რთული პროცესები, ურთულესი პროცესები, მაგრამ ეს პროცესები ჩვენ მივიყვანეთ წარმატებამდე, კანდიდატის სტატუსის მიღებამდე. იგივე დაპირება შეგვიძლია გავცეთ საზოგადოების მიმართ მოლაპარაკებების გახსნასთან დაკავშირებით. როდის იქნება ეს, არის ცალკე საკითხი, მაგრამ მოლაპარაკებები აუცილებლად გაიხსნება და ჩვენ დარწმუნებული ვართ, გარანტირებულად შემიძლია გითხრათ, რომ უკრაინასა და მოლდოვაზე ადრე შევალთ ევროკავშირში.

კანდიდატის სტატუსი არ მოგვენიჭა შარშან, მაგრამ მოგვენიჭა წელს, პრაქტიკაში არაფერი შეცვლილა, არაფერში არ ჩამოვრჩენილვართ. რეალურად, რაც შეეხება გაწევრიანებას, გაწევრიანების თარიღზე ეს ყველაფერი არავითარ შემთხვევაში არ მოქმედებს. თქვენ გახსოვთ, რომ ყოველ ჯერზე ჩვენ უფრო გვიან ვიღებდით კონკრეტული პროცესების დაწყებას ევროკავშირისგან, ვიდრე უკრაინა და მოლდოვა, მაგალითად, ჩვენ შემთხვევაში უფრო გვიან დაიწყო მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების გაფორმების თაობაზე, DCFTA-ს გაფორმების თაობაზე, უფრო გვიან დაიწყო მოლაპარაკებები ვიზალიბერალიზაციის თაობაზე, მაგრამ სამივე შემთხვევაში დავასწარით უკრაინას და მოლდოვას, იმიტომ რომ ერთია პოლიტიკური გადაწყვეტილებები, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა ხედავს, რომ საქართველო ბევრად უსწრებს წინ როგორც უკრაინას, ასევე მოლდოვას, მითუმეტეს ამ მძიმე პროცესების შემდეგ, რაც არის უკრაინაში და რაც გავრცელდა მოლდოვაზე ეკონომიკური კუთხით. ჩვენ ვართ ბევრად უფრო წინ ყველა თვალსაზრისით. ასეთ პირობებში ჩვენ ვართ დარწმუნებულები, რომ მართალია გვიან მოგვენიჭა კანდიდატის სტატუსი, მაგრამ მათზე ბევრად უფრო ადრე შევალთ ევროკავშირში", - განაცხადა კობახიძემ.

# სემეკის 2023 წლის საქმიანობა შეჯამდა

***საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარემ, დავით ნარმანიამ მედიის წარმომადგენლებთან სემეკის 2023 წლის საქმიანობა შეაჯამა. სემეკის თავმჯდომარის განცხადებით, მიმდინარე წელს, მარეგულირებელმა კომისიამ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა როგორც ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების გაუმჯობესებისათვის, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით. ამასთანავე, კიდევ უფრო გააქტიურდა სემეკის როლი საერთაშორისო ორგანიზაციებში.***

„საერთაშორისო ორგანიზაციებში სემეკმა წელს კიდევ ერთხელ მოიპოვა წარმატებული მარეგულირებელი კომისიის სტატუსი და ენერგეტიკის სექტორში წამყვანი ორგანიზაციების მიერ მიენიჭა უფლება, რომ 2026 წელს მსოფლიო ენერგეტიკულ ფორუმს საქართველოში უმასპინძლოს. ფორუმში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 1000-ზე მეტი დელეგატი მიიღებს მონაწილეობას", - აღნიშნა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

მისივე თქმით, 2023 წლის განმავლობაში სემეკის გადაწყვეტილებებით მომხმარებლებს ჩამოეწერათ კომუნალური კომპანიების მიერ უსაფუძვლოდ დარიცხული, ასევე, ხანდაზმული დავალიანებები, ჯამში - 700 ათას ლარამდე. ამასთანავე, მომსახურების სტანდარტების დარღვევის გამო, სემეკის გადაწყვეტილებებით კომპანიებმა მომხმარებლებზე ჯამში 330 ათასი ლარის კომპენსაცია გასცეს.

„მოქალაქეები აქტიურად სარგებლობენ სემეკის მიერ შეთავაზებული გამარტივებული კომუნალური მომსახურებებით. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა იუსტიციის სახლში გადატანილი კომუნალური სერვისებით სარგებლობის მაჩვენებელი. გარდა ამისა, გაიზარდა დისტანციური მომსახურების მაჩვენებლებიც, მაგალითისთვის, 2023 წლის განმავლობაში 1 მილიონზე მეტმა უნიკალურმა მომხმარებელმა ისარგებლა *303№-ის სერვისით", - განაცხადა დავით ნარმანიამ.

სემეკის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა განახლებადი ენერგიების განვითარების ხელშემწყობ პროექტებზე:

„სემეკი აგრძელებს მუშაობას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესისა და პროგრამის დანერგვაზე. აღნიშნულ სისტემაში უკვე რეგისტრირებულია 23 კომპანია, გაცემულია 1,937,526 სერტიფიკატი. 2023 წელს გაორმაგდა ნეტო-აღრიცხვის პროგრამაში ჩართული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების რაოდენობა, რომელთა ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 60 მეგავატს მიაღწია.

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები რჩება უცვლელი. ბუნებრივი გაზის სექტორში მიმდინარეობს კომპანიების გამსხვილებისა და ხელახალი ავტორიზაციის პროცესი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სექტორში ბუნებრივი გაზის მიწოდების საიმედოობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. რაც შეეხება წყალმომარაგების სექტორს, მიმდინარეობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის", შპს „რუსთავის წყლის", შპს „ბათუმის წყლის", შპს „საჩხერის წყალკანალის" და შპს „საგარეჯოს" მომდევნო წლებში განსახორციელებელი საინვესტიციო გეგმების ანალიზი. კომისია შეითანხმებს იმ გეგმებს, რომლებიც ხელს შეუწყობს წყალმომარაგების სექტორის მომსახურების გაუმჯობესებას.

რაც შეეხება რეგულირებას დაქვემდებარებულ ახალ სექტორს, 2023 წელს სემეკმა დაიწყო მელიორაციის სექტორის ეფექტიანი რეგულირებისათვის ნორმატიული ბაზის შექმნა. ამ მიზნით, უკვე დამტკიცდა საირიგაციო წყლის მიწოდების წესები, პირველადი წყალმოსარგებლის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფების გაანგარიშების შესახებ მეთოდოლოგია", - აღნიშნა დავით ნარმანიამ.

სემეკის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა სემეკთან არსებულ ენერგეტიკის სასწავლო ცენტრში განხორციელებულ პროექტებზე. მისი თქმით, 2023 წელს ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების საკითხებზე ჩატარდა რამდენიმე სასწავლო კურსი, სადაც გადამზადება გაიარეს როგორც აღნიშნულ სექტორებში დასაქმებულმა და სექტორების რეგულირებით დაინტერესებულმა პირებმა, ასევე სტუდენტებმა.

***დავით ნარმანიამ მედიის წარმომადგენლებს 2024 წლის გეგმები გააცნო. მისი თქმით, მომდევნო წელს სემეკის საქმიანობის პრიორიტეტები იქნება მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და კომუნალური კომპანიების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება, ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესისა და კონკურენციის, განახლებადი ენერგიების ათვისების, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში დიგიტალიზაციისა და კიბერუსაფრთხოების განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაფართოება და ენერგეტიკული განათლების ხელშეწყობა.***

# ჯამურმა საპენსიო აქტივებმა 4.3 მილიარდ ლარს მიაღწია

***2023 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურმა საპენსიო აქტივებმა 4.3 მილიარდ ლარს მიაღწია, სქემაში რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობამ 1,476,780 შეადგინა, აქედან აქტიური სქემის მონაწილე 1,297,661 ადამიანია, ხოლო 2023 წელს სქემას დამატებით 118,044 მონაწილე შემოუერთდა,- ამის შესახებ საპენსიო სააგენტოს 2023 წლის შემაჯამებელ ანგარიშშია აღნიშნული.***

***ანგარიშის თანახმადვე, 2023 წელს პენსიით ისარგებლა 3,535 ადამიანმა, შედეგად პენსიის მიმღებთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა და 6,929 შეადგინა.***

„დღეისათვის, გაცემული პენსიის ჯამური ოდენობა 20,811,344 ლარია, ხოლო მიმდინარე წელს იგივე მონაცემი 13,264,294 ლარს მოიცავს. ამ დროისათვის, დაგროვებით საპენსიო სქემაში 107,644 კომპანიაა დარეგისტრირებული, 2023 წლის სტატისტიკით, კი სქემაში განევრიანებულ ორგანიზაციათა ოდენობა 12,650-ით გაიზარდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს სააგენტომ წარმატებით გაიარა ISO 27001 სტანდარტის შესაბამისობის მასერტიფიცირებელი აუდიტი და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი, ასევე GITI-2023-ზე გახდა გამარჯვებული „ინფორმაციული უსაფრთხოების საუკეთესო მენეჯმენტის“ ნომინაციაში.

საინვესტიციო საქმიანობის შედეგები კი ასე გამოიყურება: მხოლოდ 2023 წელს, საინვესტიციო ამონაგებმა 401 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო სააგენტოს დაარსებიდან დღემდე, საპენსიო აქტივების ჯამური წმინდა ამონაგები 834 მილიონი ლარია; პროცენტულად, 5 წლის განმავლობაში, ნომინალურმა ამონაგებმა 57% შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში, რეალური ამონაგები (ინფლაციის გათვალისწინებით) 13.3% იყო.

საპენსიო სააგენტოს ფუნქციონირების დაწყებიდან მე-5 წელს, ჯამურმა საპენსიო აქტივებმა 4.3 მილიარდ ლარს მიაღწია, მათ შორის, წმინდა კონტრიბუციების მოცულობა 3.5 მილიარდი ლარია, ინვესტირების შედეგად მიღებული წმინდა ამონაგები კი 834 მილიონ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია რომ, პორტფელების დივერსიფიკაციასთან ერთად გაიზარდა საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ამონაგებიც და მხოლოდ 2023 წელს 401 მილიონი ლარი შეადგინა.

დაარსებიდან დღემდე, საპენსიო სააგენტოს ჯამურ აქტივებზე ნომინალური ამონაგები 57% -ია, რაც იმავე პერიოდში დაფიქსირებულ ინფლაციის მაჩვენებელზე 13.3%-ით მაღალია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 წლის მონაცემების მიხედვით, საპენსიო სააგენტო რეგიონისა და OECD-ის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებს. ბოლო 3 წლის აკუმულირებული მონაცემებით (2020-2022), საპენსიო სააგენტოს ჯამურმა ნომინალურმა ამონაგებმა 33% შეადგინა. ამ მაჩვენებლით, საქართველოს საპენსიო სააგენტო რეგიონისა და OECD-ის ქვეყნების რეიტინგის ლიდერია. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭო მსოფლიო დონის პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული.

საინვესტიციო საბჭოს ხელმძღვანელობს ოლივიერ რუსსო, რომელიც ასევე იკავებს საფრანგეთის საპენსიო სარეზერვო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას.



2023 წლის აგვისტოდან საპენსიო სააგენტო 3 სხვადასხვა შემოსავლიანობისა და რისკიანობის მქონე პორტფელებს მართავს, ესენია კონსერვატიული, დაბალანსებული და დინამიკური. ჯამურად საპენსიო აქტივების 80% საქართველოში, საბანკო დეპოზიტებსა და სახაზინო ობლიგაციებშია ინვესტირებული, ხოლო თითქმის 20% ანუ 823.8 მილიონი ლარი, გლობალური აქციების პორტფელშია ინვესტირებული. საპენსიო სააგენტო აქციების პორტფელს ETF-ების ანუ გაცვლითი სავაჭრო ფონდების საშუალებით ფლობს. სააგენტოს აქციების პორტფელი დივერსიფიცირებულია, მისი 45% ჩრდილოეთ ამერიკაშია ინვესტირებული, 24% განვითარებული აზიის ქვეყნებში, ხოლო 18% ევროპაში.

2023 წელი აქციების ბაზრისთვის საკმაოდ პოზიტიური აღმოჩნდა, შესაბამისად ბოლო თვეების საინვესტიციო ამონაგების მიხედვით პორტფელებს შორის დინამიკური პორტფელი ლიდერობს, რომელშიც აქციების წილი ყველაზე მაღალია. აქვე აღსანიშნავია, რომ საპენსიო სააგენტოს აქციების პორტფელში არსებული ETF-ების ამონაგები წლის დასაწყისიდან დღემდე საკმაოდ მაღალია. კანონში შესული ცვლილებები შესაბამისად, 2024 წლის 3 იანვრიდან იმ მონაწილეების აქტივები, რომლებსაც 2023 წლის 7 სექტემბრამდე არ აურჩევიათ სასურველი საინვესტიციო პორტფელი, ავტომატურად გადანაწილდებიან კონსერვატიულ ანუ დაბალრისკიან პორტფელში.

***3 იანვრიდან, აღნიშნულ მონაწილეებს საშუალება ექნებათ თავად შეარჩიონ მათთვის სასურველი პორტფელი და შემდგომში ხელმეორედ არჩევანის გაკეთება 12 თვეში ერთხელ იქნება შესაძლებელი“,- ნათქვამია საპენსიო სააგენტოს წლის შემაჯამებელ ანგარიშში.***

## ერთ წელიწადში იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ხელფასს იღებს, 4%-ით გაიზარდა

2023 წლის ნოემბერში, ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ თვიურ ხელფასს, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3.9%-ით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.4%-ით არის გაზრდილი. ამის შესახებ პმცგ-ს კვლევაშია აღნიშნული.

„2023 წლის ნოემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 0-დან 600 ლარამდე თვიურ ხელფასს, 17.7%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 9.3 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.

2023 წლის ნოემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 2 400 ლარს, ან მეტ თვიურ ხელფასს, 23.2%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7.9 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

2023 წლის ნოემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9 600 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 2%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 0.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 0.7 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია,“ - აღნიშნულია კვლევაში.

## ადგილობრივი ექსპორტი გაიზარდა – ქვეყნები,სადაც ქართული პროდუქტი გადის

***2023 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 5,584 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11.1%-ით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 46.0%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.3%-ით შემცირდა და 2,569 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.***

ამასთან, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 73.3% შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: რუსეთი (495.2 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (328.7 მლნ. აშშ დოლარი) და ბულგარეთი (247.6 მლნ. აშშ დოლარი).

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალი ადგილობრივ ექსპორტში შემდეგნაირად გამოიყურება:

**რუსეთი – 495 184 მლნ აშშ დოლარი (19,3%)**

**თურქეთი – 328 703 მლნ აშშ დოლარი (12.8%)**

**ბულგარეთი – 247 595 მლნ აშშ დოლარი (9.6%)**

**ჩინეთი – 246 129 მლნ აშშ დოლარი (9.6%)**

**სომხეთი – 142 320 მლნ აშშ დოლარი (5.5%)**

**აზერბაიჯანი – 138 375 მლნ აშშ დოლარი (5.4%)**

**შვეიცარია – 79 016 მლნ აშშ დოლარი (3.1%)**

**აშშ – 71 413 მლნ აშშ დოლარი (2.8%)**

**ესპანეთი – 69 693 მლნ აშშ დოლარი (2.7%)**

**უკრაინა – 65 761 მლნ აშშ დოლარი (2.6%)**

## ამერიკამ საფერავსა და ქარვისებურ ღვინოებს უმასპინძლა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და კორპორაციის საფერიკა ორგანიზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში საფერავის და ქარვისფერი ღვინოების მასშტაბური დეგუსტაცია Saperavi and Amber Wine Grand Tasting გაიმართა.

ღონისძიებას ღვინის პროფესიონალები, კომერციული და მედია სექტორის წარმომადგენლები, ჯამში, 200-მდე სტუმარი დაესწრო. მონაწილეებმა დააგემოვნეს ქართული ღვინო და ქართული კერძები, მიიღეს ინფორმაცია როგორც ქართული ვაზის ჯიშების, ასევე საქართველოსა და ქართული მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობადობისა და გაყიდვების ზრდისთვის ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ, ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კორპორაცია „საფერიკა“ 2022 წელს, აშშ-ში დაარსდა და მისი მიზანია ქართული ყურძნის ჯიშების და ქართული ღვინის სახეობების პოპულარიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2023 წელს, აშშ-ში, პრეზენტაცია-დეგუსტაციებსა და საერთაშორისო გამოფენებზე ქართული ღვინის წარდგენის პარალელურად, გააქტიურდა მედია კამპანიაც: სარეკლამო კლიპი მომზადდა ამერიკული ტელეკომპანია CNN-ის ეთერისთვის, აშშ-ის ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა ტელემაუწყებელმა CBS-მა, ქართული ღვინის შესახებ ვრცელი სიუჟეტი „Ancient Vines“ (უძველესი ვაზი) მოამზადა, საიმიჯო სტატიები დაიბეჭდა სხვადასხვა ბეჭდურ თუ ელექტრონულ გამოცემაში.



# მილოცვა სათნოების სახლის ბენეფიციარებს





***2023 წლის 15 დეკემბერს, ხელოვნების სკოლის პედაგოგები და აღსაზრდელები, დედოფლისწყაროს სათნოების სახლს და ამავე სახლის ბენეფიციარებს ესტუმრნენ.***

ხელოვნების სკოლის პედაგოგებმა და აღსაზრდელებმა დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და მცირე კონცერტით წარსდგნენ ბენეფიციარების წინაშე. კონცერტში მონაწილეობა თითქმის ყველა კლასისა და მიმართულების აღსაზრდელმა მიიღო. ბავშვებმა საგუნდო სიმღერებთან ერთად, ნაწარმოებები შეასრულეს როგორც ვიოლინოზე, ასევე ფორტეპიანოზეც.

თითოეულ გამოსვლას ბენეფიციარები აპლოდისმენტებითა და ოვაციებით აჯილდოვებდნენ.

ღონისძიების დასასრულს, სათნოების სახლის ბენეფიციარმა ნინო ბულაშვილმა რევაზ ლაღიძის „თბილისო“ შეასრულა, რასაც მსმენელის აკომპანიმენტი და დადებითი ემოციები მოჰყვა.

შეხვედრა სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს სათნოების სახლი 200 მზრუნველობამოკლებულ და სოციალურად შეჭირვებულ ბენეფიციარს აერთიანებს.

**ჟუჟუნა ყანჩაშვილი**



# ზემო მაჩხაანში კლუბი „გაავრცელე სითბო" შეიქმნა

***საქველმოქმედო ორგანიზაცია „გაავრცელე სითბო“-მ ზემო მაჩხაანის კლუბი შექმნა. როგორც ადგილობრივი მოხალისეები გაზეთ „შირაქს“ უყვებიან, მათი მიზანია სითბოსა და საჩუქრის გარეშე ახალ წელს არავინ შეხვდეს. ამჯერად ისინი სხვადასხვა საქველმოქმედო აქტოვობებს არა მხოლოდ ზემო მაჩხაანში, არამედ მთელი კახეთის მასშტაბით გეგმავენ.***

**თაკო ბენაშვილი:** „მოგეხსენებათ, ახალი წელი მოდის, ჩვენი ინიციატივა კი, რა თქმა უნდა, კვლავაც აგრძელებს საზოგადოებაში სითბოს დათესვას. მინდა მცირე ინფორმაცია მოგაწოდოთ ჩვენს შესახებ: ,,გაავრცელე სითბო" არის საქველმოქმედო ინიციატივა", რომელიც ადამიანებს მთელი საქართველოს მასშტაბით საერთო მისიის, სიკეთის კეთების გარშემო გვაერთიანებს. ჩვენ ყოველდღიურად ხელს ვუწყობთ პოზიტივისა და სიკეთის გავრცელებას ხალხში. ამისათვის ვახორციელებთ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებსაც შეუძლია, გარემო და ადამიანები უკეთესი გახადოს. ვამაყობთ იმ ფაქტით, რომ რაჭის ტრაგედიაში დაშავებულების მხარდასაჭერად, მთელი საქართველოს მასშტაბით წამოვიწყეთ კამპანია ,,გავერთიანდეთ შოვისთვის", შევაგროვეთ ჰუმანიტარული დახმარება და გავგზავნეთ დანიშნულების ადგილზე. დღეს, ჩვენ კიდევ ერთი მიზანი გვაქვს! მზად ვართ წამოვიწყოთ ახალი კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ საქართველოში არცერთი ბავშვი და ადამიანი არ შეხვდეს ახალწელს სითბოსა და საჩუქრის გარეშე. ჩვენ გვინდა პოზიტიური ცვლილების მოხდენა იმ ადამიანების ცხოვრებაზე, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. რაც შეეხება კონკრეტულ აქტივობებს, ჩემს მოხალისეებთან ერთად ვაპირებ ვესტუმრო ბავშვთა სახლს, მოხუცთა თავშესაფრებს, ასევე ვერთვებით კამპანიაში „გახდი სანტა მიუსაფარი ცხოველებისთვის".

დიახ, საქველმოქმედო ინიციატივა „გაავრცელე სითბო" უკვე მესამე წელია არსებობს. დიდი ხნის წინ დავიწყე ჩემს თემში მსგავსი აქტივობები, თუმცა დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. შეიძლება ითქვას, რომ ზემო მაჩხაანის კლუბის სახე მხოლოდ ახლა მიიღო. გუშინ ჩავატარე პირველი შეხვედრა ჩემს მოხალისეებთან, (მოხალისეები მთელი კახეთის მასშტაბით გვყავს) და ერთად დავგეგმეთ, რის განხორციელებას ვაპირებთ ჩვენი ინიციატივის ფარგლებში საახალწლოდ. ვცდილობთ, რომ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან გვქონდეს კომუნიკაცია და თანამშრომლობა, რათა გარკვეული რესურსები მოვიზიდოთ. ამას გარდა, ვახორციელებთ ისეთ აქტივობებს, რომლებსაც დიდი რესურსები არ სჭირდება და საკუთარი ძალებით შევწვდებით. შესაბამისად ჩვენ, მოხალისეები თავადვე ვუზრუნველვყოფთ ყველაფერს. ეს აქტივობებია მაგალითად: სამოტივაციო ფრაზების, ბუშტების, შოკოლადების დარიგება ჩვენს თემში.

აღსანიშნავია ის, რომ რამდენიმე კომპანიისგან მივიღეთ დაფინანსება, სხვადასხვა პროდუქტებისა და ტკბილეულის სახით. ეს ყველაფერი



განაწილდება შესაბამისად. დაგეგმილია თელავის ბავშვთა სახლში და მოხუცთა თავშესაფრებში სტუმრობა. ჩვენს სოფელში უამრავი შეჭირვებული ოჯახია, რომელთა დახმარებასაც ვაპირებთ, ვინაიდან და რადგანაც ჩვენი მიზანია, რომ ახალ წელს ადამიანების უმეტესობა შეხვდეს სითბოთი და საჩუქრით ხელში. ამჟამად ზემო მაჩხაანიდან 15 მოხალისე გვყავს. მათთან ერთად დღესასწაულის წინა დღეებში ვგეგმავთ, ჩვენს თანასოფლელებს საახალწლო განწყობა ავუმაღლოთ პოზიტიური, თბილი ფრაზებისა და ტკბილეულის დარიგებით.

რაც შეეხება სამოქალაქო აქტივიზმის მიმართ პირადად ჩემს დამოკიდებულებას, მოხალისეობა 12 წლის ასაკში დავიწყე. ღრმა ბავშვობიდან დავინტერესდი ამგვარი საქმიანობით. ყოველთვის დანაკლისს ვგრძნობდი სამყაროსა და ადამიანებისგან, საკუთარი თავი კი სწორედ მოხალისეობაში ვიპოვე. ეს ყველაფერი დაიწყო ჩემი სოფლის დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავებით. ვხედავდი რამდენი ადამიანის ინსპირაცია ვხდებოდი და ზუსტად ეს მაძლევდა მოტივაციას, მეტი მეკეთებინა. საქველმოქმედო ინიციატივა ,,გაავრცელე სითბომ" კი სულ სხვანაირად დამანახა საზოგადოება და გარემო. მე მჯერა, რომ ბედნიერება ისეთ წვრილმანებშია, როგორიც შოკოლადების, სამოტივაციო ფრაზებისა და ბუშტების დარიგებაა. ჩვენ გვჭირდება შეხსენება, რომ ბედნიერება კავშირებში, ერთიანობასა და სითბოს გაცემაშია. დიდი პატივია, ასეთ ინიციატივებში მონაწილეობა, რადგან დარწმუნებული ვარ, ჩვენ შეგვიძლია შთავაგონოთ სხვები და შევქმნათ სამყარო, სადაც სიკეთე და სითბო ჩვენი კავშირების საფუძველია“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# 20 წლიანი სასჯელი „დიმედროლას“ არბოშიკელი ქალის მკვლელობაში მონაწილეობისთვის

***არბოშიკელი ქალის მკვლელობისთვის ძებნილ დავით პაპუაშვილს, მეტსახელად „დიმედროლას“, რომელსაც გამოძიება 4 წლის განმავლობაში ეძებდა, სასამართლომ 20 წლიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო სხდომა 20 დეკემბერს გაიმართა. ის რამდენიმე თვის წინ საფრანგეთში დააკავეს და ქართულ მხარეს გადმოსცეს. დანარჩენ სამ დამნაშავეს სასჯელი 2019 წლის დეკემბერში მიესაჯა.***

სოფელ არბოშიკში მცხოვრები 61 წლის **თამარ სეფიაშვილის** დაყაჩაღება მისივე თანაკლასელმა ტარიელ ლამაზოშვილმა დაგეგმა და დანაშაულში თანასაკნელები დაიხმარა. მარტოხელა ქალი სახლიდან პერიოდულად ფულს აპროცენტებდა, ამდენად დამნაშავეთა ჯგუფს იმედი ჰქონდა, რომ მათი გეგმა სარფიანი აღმოჩნდებოდა. დანაშაულის შესანიღბად ისინი სოფელში შემოვლითი გზებით ჩავიდნენ, თუმცა, აღმოჩნდა, რომ აფთიაქზე დამაგრებულმა ვიდეოკამერამ მათი სტუმრობა მაინც დააფიქსირა.

*შეგახსენებთ, ყაჩაღობა სოფელ არბოშიკში 2019 წლის 6 ნოემბერს მოხდა, რის შედეგადაც, მარტოხელა ქალი გარდაიცვალა. გარდაცვლილი, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ახლობლებმა ე.წ. სკოჩით დაბმული გარდაცვლილი აღმოაჩინეს.*

**ტარიელ ლამაზოშვილი ბათუმის ბულვარში სამართალდამცველებმა მაშინ დააკავეს, როცა თურქეთში გადაპარვას ცდილობდა. ვინაიდან მას პირობითი სასჯელი ჰქონდა, ქვეყანას ოფიციალურად, საზღვრის გადაკვეთის გზით ვერ დატოვებდა, ამიტომაც მალულად გაპარვას აპირებდა.**

*ტარიელ ლამაზოშვილსა და დავით ჯავახიშვილს 20-20 წლით პატიმრობა აქვთ მისჯილი, ხოლო მძღოლს თორნიკე მანჯავიძეს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათ 4 წელი უკვე მოიხადეს, ხოლო მეოთხე დამნაშავის დაკავება ახლა მოხერხდა.*

განზრახ მკვლელობის და ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობდა. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გაზეთი „შირაქი“ დანაშაულის დეტალებზე გარდაცვლილის ოჯახს ესაუბრა.

**ირმა ბაღაშვილი** ***(მოკლულის შვილი):*** „განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა პროფესიონალ პროკურორს ბ-ნ ლადო ბექიშვილს და ყველას, ვინც ჩვენი ტრაგედია გულთან ახლოს მიიტანა და სასამართლო პროცესებზე დადიოდა. კმაყოფილი ვართ ამ გადაწყვეტილებით. უვადო თავისუფლების აღკვეთა უკეთესი იქნებოდა, თუმცა, მათი ასაკიდან გამომდინარე, ეს განაჩენიც იგივეს ნიშნავს. ამ დანაშაულის ირგვლივ სასამართლო პროცესები დასრულდა, თუმცა სავარაუდოდ შეიძლება გაასაჩივრონ.

სიმართლე გითხრათ, თუ გაასაჩივრებენ, ეს ჩემთვის არაფერს ცვლის.. ნაქურდალი ნივთები ჯერ არ გადმოუციათ. ზუსტად მაგას ველოდებით, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაასაჩივრეს, მაშინ ნივთები დაგვიბრუნდება.

რა თქმა უნდა, ლამაზოშვილის მზაკვრული გეგმა იყო. მან იცოდა დედას საქმიანობის შესახებ, სახლიდან თანხას რომ აპროცენტებდა, არანაირი სხვა ინტერესი არ ჰქონიათ, გარდა დიდი თანხის დაუფლებისა. არც ოქრო უნდოდათ, პირიქით, ოქროს გატანამ დაღუპა დამნაშავეები და პოლიცია სწორედ ოქროს სამკაულებით გავიდა მათ კვალზე. მოგეხსენებათ, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ჯავახიშვილის და ლამაზოშვილის სახლებიდან. დამნაშავეთა ჯგუფი ერთმანეთს საკნიდან იცნობდა, როგორც ჩანს, თავისუფლებაზეც გააგრძელეს ურთიერთობა. ისინი ამნისტირებულები იყვნენ და დროზე ადრე რომ არ გამოეშვათ საპატიმროდან, მაშინ ახალ დანაშაულს ველარ ჩაიდენდნენ და დედაჩემი ცოცხალი იქნებოდა. ცრუ ინფორმაცია



ჰქონდა ტარიელს, რომ თითქოს 10 000 € უნდა ყოფილიყო ჩვენს სახლში. ჯერ ერთი, ვინ ინახავს ამხელა თანხას სახლში და მეორეც, ჩემი და ამ დროს გირაოთი ცხოვრობდა, ეს თანხა რომ ჰქონოდა დედას, მაშინ ხომ ჩემი და სახლს იყიდდა.

ტარიელი ბავშვობიდან ძალიან ცუდად მახსოვს. არასოდეს მყავდა ნანახი, მაგრამ მაინც უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა. მრავალგზის ნასამართლევი იყო. ბოლოსაც მკვლელობაზე იჯდა, მაგრამ ამნისტიით გამოვიდა. ცხოვრობდა საბურთალოზე ცოლთან, რომელიც საეჭვოდ გარდაიცვალა და მისი შვილები ტარიელს აბრალებდნენ. შემდეგ არბოშიკიდან კიდევ ერთი ცოლი მოიყვანა და ყოფილი ცოლის სახლში ცხოვრობდნენ. სწორედ ნუცუბიძეზე დაიგეგმა დედაჩემის მკვლელობაც.

არსებობს 100 ვიდეო ფაილი, თუ როგორ მოდის ერთ-ერთი მონაწილე მანჯავიძე რუსთავიდან ნუცუბიძეზე, შემდეგ კახეთის გზატკეცილიდანაა ამოღებული ვიდეოები, როგორ მიდიან 4 ნოემბერს. სახლთან ბავშვებს კოცონი ენთოთ და ჩანს როგორ ბრუნდებიან უკან. ამ დღეს არ შედგა დედაჩემზე თავდასხმა. მეორე დღეს ისევ მიდის მანჯავიძე რუსთავიდან თბილისის მიმართულებით, კერძოდ ნუცუბიძეზე. ბრუნდება კახეთის მიმართულებით. თურმე არბოშიკში შემოვლითი გზით წავიდნენ, რადგან ზემო მაჩხაანს აერიდნენ, იცოდნენ, რომ სოსო გოგაშვილის საცხოვრებელ სახლთან გზაზე კამერებია. ცუდ გზაზე ე.წ გრუჩიტელი გასძვრა, ამიტომ ჩაიარეს კოტაანის მიმართულებით. არ იცოდნენ, რომ იქ ჩემს ბიძაშვილს სკოლასთან აფთიაქი აქვს, სადაც ასევე ვიდეოკამერა დგას. გადაადგილების დროები დაემთხვა ჩვენს სახლში მომხდარ დანაშაულს.

მანჯავიძე დამნაშავეთა მძღოლი იყო, თავდაპირველად სწორედ მან აღიარა დანაშაული, მან აჩვენა პოლიციას გზირიანის ნაგავსაყრელი. პოლიციამ გზირიანის ნაგავსაყრელიდან ამოიღო ნიღბები. სისხლიანი პირსახოცები, ხელთათმანები და ჩემი დისშვილის დამტვრეული ლეპტოპი. ასევე სახლიდანაა ამოღებული სიგარეტის ნამწვავები, ასევე ხელთათმანის ფრაგმენტები და დედას ფრჩხილიდან აღებული დნმ დაემთხვა დაკავებულების დნმ-ს“. მანჯავიძის გარდა არცერთს არ უღიარებია დანაშაული, მერე ისიც შეაშინეს და შეცვალა ჩვენება/

არ ვიცი, მოსაკლავად შევიდნენ, თუ დასაყაჩაღებლად. შესაძლოა დედამ კლასელი იცნო... ფაქტია, რომ იმ ადგილას მიიყვანა დამნაშავეები, სადაც ფული ჰქონდა. სასტიკად ნაწამები იყო, ალბათ ეგონათ კიდევ ჰქონდა ფული და არ აძლევდათ“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლდა

***დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში წიგნადი ფონდის განახლების პროცესი გრძელდება. ეტაპობრივად ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით ივსება. როგორც საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამჯერად მათ საჩუქრად 900 ლარიანი ვაუჩერი გადაეცათ, რის მიხედვითაც სასურველი წიგნები თავადვე შეარჩიეს და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან დედოფლისწყაროში ჩამოიტანეს. პროექტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და ფონდი არველაძეების“ დახმარებით.***

**მანანა მაჭარაშვილი:** „მკითხველი რომ შემოდის, ძირითადად ახალგაზრდები, ყოველთვის გამოხატავენ ახალი წიგნების მიმართ ინტერესს, ამდენად, ჩვენ მუდმივად ვინიშნავთ მათ სურვილებს და წინასწარ გვაქვს ხოლმე მოთხოვნების სია და ვიცით, რა უნდა გავითვალისწინოთ წიგნების შერჩევის დროს. ამჯერად დაგვიკავშირდნენ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან და გვაცნობეს, რომ ყველა რაიონზე გაიცემოდა ვაუჩერები და ჩავედით ბიბლიოთეკაში. იქვე იყვნენ გამომცემლობები, რომელთაც წიგნები ჰქონდათ გამოფენილი და ყველა მუნიციპალიტეტმა მათთვის საინტერესო ლიტერატურა შეარჩია. ამჯერად მხატვრული, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და საბავშვო ლიტერატურა შევარჩიეთ. მათ შორისაა ახლადნათარგმნი „ძმები კარამაზოვები“, შაფაქი და სხვა ცნობილი მწერლები... ასევე “ვეფხისტყაოსნის” ორნაირი გამოცემა. ერთი არის თამაზ ვასაძის ავტორობით, ტექსტი და განმარტებები, ხოლო მეორე ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემა, ნოდარ ნათაძის კომენტარებით. იგივე ძველი გამოცემა გვქონდა, მაგრამ ვინაიდან მასზე მოთხოვნა დიდია, მინდოდა ახალი გამოცემაც ჩამომეტანა. ძირითადად საზღარგარეთის მწერლებს ვარჩევთ ხოლმე, რაც პოპულარული და მოთხოვნადია. გამომცემლები თავადაც გვირჩევენ ხოლმე, რა ახალი თარგმანებია და რა იქნება მკითხველისთვის საინტერესო. ამჯერად 900 ლარის ვაუჩერით 63 წიგნის შერჩევა შევძელით, გასულ წელს 52, მანამდე 48 წიგნი. იმედი მაქვს, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება ვაუჩერიზაციით წიგნების განახლების პროცესი. ჩვენ ადგილობრივ ბიუჯეტში არ გვაქვს ახალი წიგნების შესაძენად გათვალისწინებული თანხები, ამდენად, ბიბლიოთეკებისთვის ამგვარი პროექტები, ან საჩუქრად გადმოცემული წიგნები ერთადერთი გზაა ფონდის შესავსებად და ახალი ლიტერატურის მისაღებად. მხოლოდ შემოწირულობით ვახერხებთ განახლებას. ამჯერად მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განთავსდა ყველა ახალი წიგნი, მხოლოდ ერთ წელს გავანაწილეთ სოფლებზე, რადგან მაშინ მოთხოვნა იყო, რომ წიგნები სოფლებში წასულიყო. თუ რომელიმე წიგნი რომელიმე სოფელს არ აქვს, გვიკავშირდებიან და სადაც გვაქვს, ვცდილობთ იქიდან დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნა. ასე რომ, ჩვენი ყველა ფილიალი მაქსიმალურადაა ჩართული მკითხველის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.



დატვირთული წელი იყო, ბავშვებთან, სკოლებთან და ბაღებთან აქტიური თანამშრომლობა გვქონდა. ასევე მჭიდრო კავშირი გვქონდა მკითხველთან. ზოგადად, წინასწარ გაწერილი გეგმა-გრაფიკით ვმუშაობთ. რა თქმა უნდა, პანდემიის შემდეგ მკითხველის რაოდენობის ზრდა ფიქსირდება. 2023 წელს 139 146 წიგნი გაიცა და 7 910-მა ადამიანმა ისარგებლა ბიბლიოთეკის მომსახურეობით. წელს ჩატარდა სულ 689 ღონისძიება, მათ შორის 200 ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. საქალაქო ბიბლიოთეკაში წელს 1916 მკითხველი შევიდა და გაიცა 35 494 წიგნი. რაც შეეხება მთლიანად დედოფლისწყაროში არსებულ წიგნად ფონდს, საბიბლიოთეკო გაერთიანება ფლობს სულ 207 384 წიგნს, აქედან 66 407 წიგნი ცენტრალურ ბიბლიოთეკაშია, ხოლო 140 977 სასოფლო ბიბლიოთეკებშია გადანაწილებული“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# ელექტრომობილების პირველი ოფიციალური მულტიბრენდული შოურუმი - E-Motors Georgia - გაიხსნა




***21 დეკემბერს, ბელიაშვილის N49-ში, საქართველოში პირველი - ელექტრომობილების ოფიციალური მულტიბრენდული შოურუმი, E-Motors Georgia, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.***

E-Motors Georgia ჩინური ავტომწარმოებელი ბრენდების ექსკლუზიური პარტნიორია და თავის სივრცეში IM Motors-ის, Jetour-ის, Dayun-ის, Forthing-ის და Chery-ს მოდელებს აერთიანებს. კომპანია იმპორტს პირდაპირ ჩინური ავტომწარმოებების ქარხნებიდან ახორციელებს, ამ ბიზნესმოდელიდან გამომდინარე კი, შოურუმში წარმოდგენილ უახლეს მოდელებზე ფასებიც საკმაოდ ლიბერალურია.

„ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ ბრენდების ოფიციალური და ექსკლუზიური წარმომადგენელის სტატუსით - პირველად საქართველოში ინოვაციური ელექტრომობილებისა და შესაბამისი სერვისის შეთავაზება შეგვიძლია ავტომფლობელებისათვის. ელექტრომობილების ფართო არჩევანის წარმოდგენით, ჩვენი ხელშესახები წვლილი გვინდა შევიტანოთ უფრო მწვანე მომავლის და ქვეყნის ეკონომიკის შენებაში", - აღნიშნა გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას E-Motors Georgia-ს გენერალურმა დირექტორმა, **ირინა დარჩიამ.**

გახსნის ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მაღალი კლასისა და ფუტურისტული დიზაინის მქონე SUV ტიპის ელექტრომობილის, IM LS7-ის შესაძლებლობები გააცნეს. ამ ელექტრომობილის მაჩვენებლები იმდენად შთამბეჭდავია, რომ ხშირად Tesla-ს პირდაპირ კონკურენტადაც განიხილავენ. IM Motors-ის მოდელები რამდენიმე მეგაკორპორაციის კოლაბორაციით იქმნება: ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური ავტომწარმოებლის - SAIC-ის, ტექ. კომპანია Zhangjiang Hi-Tech-ისა და იქომერს კომპანია Alibaba Group-ის საერთო ძალისხმევით. უშუალოდ IM LS7 მოდელი ჩინურ ბაზარზე იმდენად პოპულარულია, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს, მოდელის პირველადი წარდგენიდან 1 საათში, IM Motors-მა 3000 წინასწარი შეკვეთა მიიღო. ელექტრომობილში კომპანიის ჭკვიანი მართვის სისტემაა ინტეგრირებული. სისტემა Nvidia-ს ჩიპსეტის, LIDAR სენსორების, 12 კამერის, ტალღების რადარების და 12 დამატებითი სენსორის დახმარებით იღებს ინფორმაციას. ელექტრომობილს ავტოპილოტის და ნახევრად მართვადი ავტოპილოტის რეჟიმები აქვს, ხელმისაწვდომია ავტომატური პარკირების რეჟიმიც. ტორპედს თითქმის მთლიანად ფარავს მულტიფუნქციური ეკრანი, იქვეა დამატებითი 12.8-ინჩიანი ვერტიკალური ეკრანიც, სახურავი პანორამულია.



E-Motors Georgia-ში IM Motors-ის სედანის ტიპის პრემიალური ელექტრომობილის, IM L7-ის ხილვა და ტესტდრაივზე გამოცდაცაა შესაძლებელი. L7 ორმაგი ძრავითაა აღჭურვილი - რომელსაც 570 ცხენის ძალის (425 კილოვატი) სიმძლავრე აქვს; 96 კმ/სთ-მდე აჩქარების მიღწევა 4 წამშია შესაძლებელი; ერთი დატენვით კი, ელექტრომობილს 615 კილომეტრის დაფარვა შეუძლია. შოურუმში წარმოდგენილ გამორჩეულ მოდელებს შორისაა ასევე Chery eQ1 Pro და Forthing-ის EV სერიაც. თავისი მონაცემებით განსაკუთრებულია Forthing-ის ახალი SUV ტიპის მაღალტექნოლოგიური ელექტრომობილი SX5GEV - რომელსაც ერთი დატენვით 600 კილომეტრამდე მანძილის დაფარვა შეუძლია, 10.25-დუიმიანი მულტიფუნქციური ეკრანით და 360-გრადუსიანი კამერებითაა აღჭურვილი და დამუხრუჭების და გაგრილების ჭკვიანი სისტემები აქვს ჩაშენებული.

E-Motors Georgia-ში წარმოდგენილი ელექტრომობილების ფასი 10 000$-იდან იწყება, მოიცავს შედარებით ბიუჯეტურ საფასო კატეგორიასაც და პრემიალურ სეგმენტსაც.

ღონისძიებაზე აგრეთვე გაჟღერდა, რომ უახლოეს მომავალში E-Motors Georgia ავტომფლობელებს ავტორიზებული სერვისცენტრის მომსახურებასაც შესთავაზებს. After Sale მომსახურებას და ელექტრომობილის მოვლისათვის საჭირო ყველა სერვისს E-Motors Georgia-ს მომხმარებლები ჩინეთში გადამზადებული სპეციალისტებისაგან მიიღებენ.

E-Motors Georgia-ში გეგმავენ, ელექტრონული ტრანსპორტის შესახებ ეტაპობრივად გაზარდონ ცნობიერება - გაავრცელონ ინფორმაცია იმ სარგებელზე, რაც ელექტრომობილების მართვას ხანგრძლივ პერსპექტივაში მოაქვს.



# ადამიანების ციფრული კლონები - ხელოვნური ინტელექტის ახალი ფუნქცია

***ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, უკვე შესაძლებელი ხდება, რომ ადამიანებმა თავიანთი პიროვნების კლონირება და AI ტექნოლოგიის Catbotკონვერტირება მოახერხონ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენთან ვინმეს რაიმე თემაზე საუბარი ან ინფორმაციის გაგება მოუნდება, აღნიშნული პიროვნება შეძლებს, რომ თქვენი ციფრული კლონისგან მიიღოს სასურველი პასუხი.***

Coachvox AI სწორედ ამის საშუალებას იძლევა. ფირმამ უკვე 150 ადამიანის ციფრული კლონი შექმნა. კლონთა შორის არიან მსხვილი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორები, ასტროლოგები, დიეტოლოგები, ფიტნეს მწვრთნელები და ქორწინების მრჩევლებიც კი.

ეს პატარა, მაგრამ სწრაფად მზარდი სექტორია, რომლის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ თავიანთი დროის დახარჯვის გარეშე, ციფრული კლონისა და ხელოვნური ინტელექტის დახმარების მეშვეობით ესაუბრონ თავიანთ თანამშრომლებს თუ კლიენტებს, გასცენ რჩევები და სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

„ჩვენი ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ციფრული კლონები საკმაოდ სასარგებლო და გამოსადეგ რჩევებს იძლევიან", - ამბობს Coachvox AI-ს დამფუძნებელი ჯოდი კუკი.

BBC-ის ინფორმაციით, იმის გარდა, რომ ციფრულ კლონს შეუძლია უკვე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე გასცეს პასუხები, მას აქვს იმის უნარი, რომ მომხმარებელთან, თანამშრომელთან, კლიენტთან თუ უბრალოდ მასთან საუბრის მსურველთან ისაუბროს ახალ საკითხებზე, გამართოს მსჯელობა მისთვის ახალ სიტუაციებზე. ამ შესაძლებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ Coachvox AI-ს შეუძლია იუთუბზე ვიდეოების ყურება, საგაზეთო სტატიებისა თუ წიგნების წაკითხვა და ამ ინფორმაციების ანალიზი.



ყველაფერთან ერთად, ციფრული კლონის შექმნის მსურველებს ექნებათ იმის შესაძლებლობა, რომ შექმნან თავიანთი ავატარი, რომელსაც საკუთარ ხმას დაუმატებენ. ავატარს შესაძლებლობა აქვს, რომ ისაუბროს 120-ზე მეტ ენაზე.

რა თქმა უნდა, ეს სიახლე კონკრეტულ ინდუსტრიებში და სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის დადებითია, მაგრამ, მას გააჩნია საკუთარი უარყოფითი მხარეებიც, ვინაიდან, ხშირ შემთხვევებში ბიზნესსიტუაციები მეტად რთულდება და შესაძლებელია, რომ ზოგიერთ შეკითხვაზე CeTbot-ს არ ჰქონდეს პასუხი.




**გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1973 წელი

• „ძალიან გახშირდა ახალგაზრდობის უმსგავსო საქციელი. სკოლიდან „იტაცებენ" მცირეწლოვან ქალიშვილებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოჯახში და სკოლებში დაბალია აღმზრდელობითი მუშაობა. ერთ საღამოს სოფელ წითელწყაროში სახლში მიდიოდნენ რუსული სკოლის მერვე კლასელები როზა რაჟდენის ასული თევონიანი და ლიდა მიკირტიჩის ას. კატიკიანი. გზაზე წამოეწიათ „მოსკვიჩი" (08-41 გაკ) მათივე მეზობლები გურამ და იოსებ ბაბაჯანიანები, ძალით ჩასვეს ლიდა და გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ. როგორც კი პოლიციას ეცნობა ამბავი, შედგა ოპერატიული ჯგუფი. დამნაშავეებს მიაგნეს ძველ ანაგაში. ჩამოართვეს ქალიშვილი და ჩააბარეს მშობელს. დამნაშავეთა მიმართ მალე იმსჯელებს სათანადო ორგანო," - წერს ტ. ელიზბარაშვილი, შს წითელწყაროს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის ინსპექტორი.

• ბოლო ხანს წითელწყაროში უჩვეულო ამინდი დაიჭირა, საკმაოდ აცივდა და ძალიან მოთოვა. ხეებმა ველარ გაუძლო და ბევრგან გადატყდა. რაოდენ დასანანია წითელწყაროს რკინიგის სადგურის მოედანზე მდგარი ჭადარის მთლიანად წყობილებიდან გამოსვლა. ჭადარი მართლაც რომ ამ ადგილის მშვენება იყო, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში, რადგან მთლიანად ჩრდილავდა მოედანს. აბა დღეს შეხედეთ, გადატეხილი ძირკვილა მოსჩანს! როგორც სადგურის მორიგე მილიციონერმა ლექსო შალვაშვილმა გვითხრა, ჭადარი 1962 წელს, მარტში დაურგავთ, 12 წლის ნალოლიავები ულამაზესი ჭადარი ერთ საღამოს ნალექის მსხვერპლი გახდა. სად იყვნენ მორიგეები, რატომ ერთხელაც არ გაახსენდათ, თოვლისგან დატვირთული ხე დაეფერთხათ. ამდენი წელია ჭიქობით უსხეს წყალი, თითოეულმა რკინიგზელმა გამოზარდა... ახლა, როცა ყველა დიდი გულისყურით ეკიდება რაიონის გამწვანება-დამშვენების საქმეს, ზოგჯერ უბრალო უყურადღებობას დასანანი შედეგი მოაქვს.

• ზემო ქედში მოქალაქე ტარიელ სვარიძე უზომოდ დათვრა ქელეხის სუფრაზე, შემდეგ მართავდა საკუთარ მოსკვიჩს და მოახდინა ავტოავარია. გარდაიცვალა ერთი, ხოლო სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო მეორემ. ცხადია შეიძლებოდა ავარიის თავიდან არიდება, თუ გვერდით მჯდომნი არ მისცემდნენ უფლებას ნასვამ მდგომარეობაში ემართა მანქანა. ამით სვარიძეც აიცილებდა 10 წლიან სასჯელს და გვერდით მჯდომიც გადაურჩებოდა სიკვდილს.

• ობიექტური მიზეზითაც კი საანგარიშო კრებას ესა თუ ის კომკავშირელი რომ არ დაესწროს რაოდენ სამწუხაროა, მით უფრო არასაპატიო მიზეზით. განა რა გადაუდებელი საქმე ჰქონდათ კომბაინერ ვიქტორ რიაბოვს და სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირს თენგიზ მოლაშვილს, ისინი კრების დაწყებამდე კანტორაში ყოფილან, შემდეგ კი ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ მათ გზაკვალს ვერსად მიაგნეს. ბინაზეც კი გაუგზავნეს „მხლებლები", რომ კვლავ დაეპატიჟნათ კრებაზე, მაგრამ ვინ მოგცა? სახლშიც არ აღმოჩნდნენ. რითი უნდა იმართლონ თავი? კრების უმიზეზოდ გაცდენა არავის ეპატიება, მითუმეტეს ვ. სამადუროვს, რომელიც კოლმეურნეობის მოწინავეთა დაფაზეა გამოკრული. სურათია გამოფენილი, როგორც მოწინავე კომბაინერი, მაგრამ კრებაზე აღინიშნა, როგორც უდისციპლინო კომკავშირელი. ისიც ითქვა, რომ ზოგიერთი დროულად არ იხდის საწევრო გადასახადს.

• როცა სახალხო კონტროლი მოიკოჭლებს თავნებობა იჩენს თავს. სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები წლობით არ გამოსულან ადგილობრივ რადიოგადაცემებში. თავიანთ მუშაობაში ერთი წერილიც არ გამოუქვეყნებიათ რაიონულ გაზეთში. მართალია ჯგუფმა გამოავლინა მარცვლეულის ჩანთით ქურდობის 4 შემთხვევა, მაგრამ ბოლომდე და პრინციპულად არ მიჰყვა საქმეს, რათა დამნაშავეთა საქმე ამხანაგურ სასამართლოს გაერჩია. პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზასთან შექმნილ სახალხო კონტროლის ჯგუფს ასეთი ანგარიში წელს ერთხელ აქვს ჩაბარებული. ბევრი ნაკლია, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად დაწერილა და რედაქცია ხშირად აწყობს რეიდს, მაგრამ კონტროლის ჯგუფს მსგავსი შემოწმება-რეიდები არ მოუწყვია. საწარმოს პარტორგებს რომ ვეკითხებით, რაიმე წინადადება, რეკომენდაცია, ან შენიშვნა თუ მიუღიათ კონტროლის ჯგუფისგან, გვპასუხობენ, რომ არაფერი შემოსულა. როგორც ჩანს პარტიული ორგანიზაციის დახმარება ძალზე სუსტი და ფორმალურია.

## 1975 წელი

• კაცი, რომელიც ღვიძლი შვილისათვის ალიმენტის გადახდას არ კადრულობს, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში მექანიზატორად მუშობს. იგი მეუღლეს გასულ წელს გაეყარა, მცირეწლოვანი შვილი ზურაბი კი 1969 წელსაა დაბადებული. სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვი იზრდება დედასთან, ონის რაიონის სოფელ ღებში. მამა ბორის ლობჯანიძე ნებაყოფლობით არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევს თავის პირმშოს. დედას კი შემოსავალი არა აქვს. სასამართლომ დადგენილი სამართალდარღვევა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას აცნობა. რა უნდა ვუთხრათ ასეთ მამას? ჩვენებურ კაცს ლუკმა გარეშეთათვისაც არ ენანება, ქართველი კაცის გულუხვობამ საქვეყნოდ ჰპოვა აღიარება და ამ დროს ჩვენს რიგებში მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც საკუთარი შთამომავლისთვის კაპიკები შეშურებიათ. არადა, ცხოველიც არ მიატოვებს შვილს, საკვების გარეშე.

• ამიერიდან, ჯაფარიძის ტბაზე მოსახლეობას მოემსახურება წყლის ველოსიპედები და ნიჩბიანი ნავები. ამასთან საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ქალთა სალონში ქალებს შესთავაზებს მანიკურის მომსახურებას.

• ზემო ქედში, არხილოსკალოში და ქვემო ქედში ცხოვრობენ მკლავმოუღლელი, შრომისმოყვარე, კეთილი და სპეტაკი ადამიანები. მათ არაერთი გამარჯვება მოიპოვეს შრომის სხვადასხვა უბანზე. ეს ხალხი დილის საათებში თბილისში მგზავრობას მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ მოთხოვნა ხელმძღვანელობამ ყურად იღო და გამოყო ავტობუსი, რომელიც საღამოს მატარებელს სადგურში ხვდებოდა, ხალხი ქედში მიჰყავდა, დილით კი მგზავრები მატარებელზე ამოჰყავდა. მოსახლეობა კმაყოფილი იყო, რადგან გაუიოლდათ გადაადგილება. იკლო სამუშაო დღეების გაცდენამაც, მაგრამ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ახლა ავტობუსი მხოლოდ საღამოს მოდის. მგზავრები ქედში ჩაჰყავს და მაშინვე უკან ბრუნდება. დილით კი მგზავრები ავტობუსს ამაოდ ელიან. იმედია ზემდგომები ქედებში მცხოვრები 15 000 ადამიანის სასარგებლოდ გადაწყვეტენ საკითხს.

• გასული წლის 11 დეკემბერს ხანძარი გაჩნდა ქვემო ქედში, ბარამაშვილის ბინაში. გამოიძახეს სახანძრო. ძალიან კარგია, რომ ქვემო ქედიდან წითელწყაროში შეტყობინების დროულად მიწვდა ტელეფონის ხაზით მოხერხდა. მაგრამ აქვე საკითხავია, რატომ არხილოსკალოს სახანძრო რაზმთან ვერ შეძლეს დაკავშირება? ისინი ხომ ბევრად ადრე მივიდოდნენ ადგილზე? ასე ხომ აღარ განადგურდებოდა მთლიანად შენობა და იქ არსებული ქონება? იგივე მოხდა წელს, 14 იანვარს, კვლავ ქვემო ქედში, ცეცხლი მეგრელიშვილის ბინას წაეკიდა. შეტყობინება კვლავ წითელწყაროში შევიდა და ის კი ვერავინ მოიფიქრა, იქვე გვერდით სოფელში, არხილოსკალოს სახანძრო ნაწილში დაერეკათ. სიახლოვის გამო არხილოსკალოს რაზმი ბევრად ოპერატიულად იმოქმედებდა. ასე კი ეს ორი ოჯახი გამწარდა. ოჯახის დაუდევრობის გარდა ეს არის კავშირგაბმულობის კვანძის მუშაკების ბრალი, რომლებიც ქვემო ქედში მსახურობენ. მთელმა ქედების ზონამ უნდა იცოდეს, რომ არხილოსკალოში არსებობს სახანძრო რაზმი, ჯერ მათ უნდა მიმართონ და თუ დამატებითი ძალებია საჭირო, წითელწყაროში შემდეგ დარეკონ," - წერს წითელწყაროს სახანძრო ნაწილის უფროსი ვ. ბექაური.

(სტილი დაცულია)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

## ბენიამინ ნეთანიაჰუ – ისრაელი არ შეწყვეტს ომს გამარჯვებამდე



***„ისრაელი არ შეწყვეტს ომს, სანამ მისი ყველა მიზანი არ შესრულდება - გამარჯვებამდე",*** - ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„სხვა რაუნდი არ იქნება. არსებობს ეროვნული კონსენსუსი, რომელიც მოიცავს მთელ ხალხს: უნდა იყოს გამარჯვება - ბრძოლა გაგრძელდება, სანამ მიზნები არ შესრულდება. ეს რთული და სასტიკი ომია და თქვენ იცით, რა რთულია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დავიცვათ ჯარისკაცების სიცოცხლე", - აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

ცნობისთვის, ისრაელის თავდაცვის ძალებმა დღეს გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ჰამასის" წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ ორი ჯარისკაცი დაიღუპა და ღაზის სექტორში ისრაელის სახმელეთო შეტევის დაწყების შემდეგ დაღუპული ისრაელელი ჯარისკაცების რაოდენობა 139-მდე გაიზარდა.

## კროსვორდი



შვეულად: 1. დაავადება, რომელიც გამოწვეულია „D" ვიტამინის ნაკლებობით და დამახასიათებელია ძვლების გალუნვა 2. რის კანს ჰქვია ცედრა 3. პენალტი ჰოკეიში 4. რა მოვლენაა ფატა-მორგანა 5. დაწმენდილი ნატეხი შაქარი 6. ალპური ყვავილი 7. კომპოზიტორი ია კარგარეთელის სრული სახელი 12. მელვილი. „... დიკი" 13. საჭადრაკო პარტიის დებიუტი: ... დაცვა 14. თეატრის პერსონალი, რომელიც ქეჩით ამოგებულ ორმოში ზის სცენის წინ 15. უძველესი არამეული ქალაქი სირიაში 16. სიტყვის ნაწილი ნიშნავს საწინააღმდეგოს 19. მანძილი, რომელიც ჰერაკლემ ერთ ჩასუნთქვაზე გაირბინა. ეს მანძილი დღეს სტადიონის ერთ წრეს წარმოადგენს 21.რომელი რეპტილიებით არის ცნობილი კომოდოს კუნძული 22. ამერიკელი როკ-შემსრულებელი პოლ ... 28. გამის ნოტი, რომლის ჟღერადობის მიხედვითაც ორკესტრის ინსტრუმენტებს აწყობენ

თარაზულად: 4. რომელი ქალაქიდან შემოჰქონდათ სახლის გადასახურავი მასალა გემებით, რომელთა დაცლის შემდეგ საქართველოდან მანგანუმის მადანი გაჰქონდათ 8. რა მასალა შეცვალეს პერგამენტით 9. ტილო „სიქსტის მადონა". ავტორი 10.. 1956 წელს იაპონელი არქიტექტორის კენძო ტანკეს პროექტით გაიხსნა „მშვიდობის პარკი". რომელ ქალაქშია ეს პარკი 11. ტბა შვეიცარიაში - ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტბა დას. ევროპაში 12. ჩრდ. ამერიკის ძირითადი წყალშემკრები მდინარე 17. ... ბროუდი ფილმში „პიანისტი" 18. კალიგულა - ინციტატუსი, დონ კიხოტი - როსინანტი, ალექსანდრე მაკედონელი - ... 20. რას უწოდებენ ახალზელანდიელები თავიანთ თავს 22. ალექსანდრე მეტრეველი - ჩოგბურთელი, ომარ ფხაკაძე - ველომრბოლელი, მიხეილ ხერგიანი - ... 23. იანის საპირისპირო ცნება 24. ჰერაკლეს მეშვიდე გმირობა „კრეტას ..." 25. რასისტული ორგანიზაცია ...-კლუქს-კლანი 26. სახელმწიფო აფრიკაში 27. მოწითალო ფერის პლანეტა, სადაც თვეების განმავლობაში ქარიშხალები მძვინვარებს 28. მდინარე ციმბირში. ერთვის ლაპტევების ზღვას 29. მთა თბილისში. მისი სახელი გაიშიფრება როგორც „მეხთა ადგილი"

## ქრონიკული დაავადებების მედიკამენტები სრულად დაფინანსდება

***ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, ილია ღუდუშაურის განცხადებით, ყველა იმ ადამიანს, ვისაც სახელმწიფო, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს გარკვეული ლიმიტების ფარგლებში უფინანსებდა, 2024 წლიდან, სრულად, მთელი წლის კურსს დაუფინანსებს.***

მისი განმარტებით, პროგრამის გაფართოების შესაძლებლობა, იმ რეფორმების შედეგად გახდა შესაძლებელი, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ბოლო 2 წლის განმავლობაში, აქტიურად ახორციელებს. მათ შორის, არის თურქული ბაზრის გახსნა და წამლებზე დაწესებული რეფერენტული ფასები

„რეფერენტული პოლიტიკითა და თურქული ბაზრის გახსნით, საქართველოს მოქალაქეებმა, ჯამში, 300-400 მილიონი ლარი დაზოგეს. წლიურ ჭრილში რომ ვისაუბროთ, გარკვეულ მედიკამენტებზე, ფასები 80%-თაც შემცირდა. თუმცა, როგორც ვვარაუდობდით, საშუალოდ, 40%-ით არის შემცირებული, რაც ვფიქრობ, საკმაოდ დიდი წარმატებაა", - განაცხადა ილია ღუდუშაურმა.

ციცო, გელა, თამარ და ილია ჯორკოშვილები ოჯახებით იუწყებიან

**დოდო (ნათელა) კობაიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ეთერ, ვაჟა და დალი კობაიძეებს და შვილებს: აჩიკო და ვიკო ბურდულაძეებს დის და დედის გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 21 დეკემბერს თბილისში.

მზია, თენგიზი, ილია ოჯახებით, ნინო (დედა მარიამი) კობაიძეები იუწყებიან

**დოდო კობაიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ეთერი, ვაჟა და დალი კობაიძეებს და შვილებს აჩიკო და ვიკო ბურდულაძეებს დის და დედის გარდაცვალების გამო.

გოდერძი იაკობიშვილის ოჯახი მწუხარებას გამოვთქვამთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ, ეთერ და ვაჟა კობაიძეების ოჯახებს

**დოდო კობაიძის**

გარდაცვალების გამო.

# საჩემპიონო ქამარი ლუკა პოპიაშვილს

*„პროფესიონალური სანდას ლიგა“ პირველად გაიმართა საქართველოში, სადაც ამიერკავკასიის ქვეყნები იღებდნენ მონაწილეობას, დედოფლისწყაროს უშუს გუნდიდან 4 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას და საჩემპიონო ქამრის მოგება ჩვენმა თანამემამულემ ლუკა პოპიაშვილმა შეძლო. დედოფლისწყაროს უშუს გუნდის დიდი მონდომებით და სიმამაცით ეს ტიტული ამჯერად დედოფლისწყაროსაც ერგო. ტურნირში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეჯიბრის ფარგლებში 10 ბრძოლა ჩატარდა.*



**გიორგი ცისკარაული** *(მწვრთნელი):* „წინ დიდი გეგმები გვაქვს 2024 წელი ძალიან დატვირთული გვექნება უფლის მადლით იმედი გვაქვს წარმატებით გავივლით 2024 წლის ყველა შეჯიბრს. როგორც მოგეხსენებათ, პირველად გაიმართა ამიერკავკასიაში პროფესიონალური სანდა, ჩვენი გუნდიდან ჩემპიონობა ლუკა პოპიაშვილმა მოიპოვა. რომელიც ამავე დროს ჩვენი გუნდის მწვრთნელიც არის. მან ძალიან ძლიერ მეტოქეს საკმაოდ რთულ ბრძოლაში გარდამავალი უპირატესობით აჯობა. ლუკა 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი გამოვიდა, მაგრამ ეს მისი წონა არ არის, ის 70 კილოგრამის მებრძოლია, რაც კიდევ ერთი სირთულე იყო ჩვენთვის. საბოლოო ჯამში შეჯიბრება ტრავმების გარეშე დავასრულეთ და კმაყოფილი ვარ მიღებული გამოცდილებით. ამ შეჯიბრებამ ბევრი რამის სხვანაირად შეფასების საშუალება მოგვცა. წინ არის კიდევ მთავარი სირთულეებით დატვირთული 2024 წელი, რომელსაც ვფიქრობ კარგად მომზადებულები შევხვდებით“.

**ლუკა პოპიაშვილი:** „ემოციებით დატვირთული ვარ, რადგან საკმაოდ ძლიერი მეტოქე იყო. დიდხნიანი პაუზის შემდეგ გავედი საბრძოლველად, მანამდე ორი წელი ვერ ვვარჯიშობდი და რადგან დიდი ჩავარდნა მქონდა, მჭირდებოდა ასეთი გამარჯვება, რომ მეტი სტიმული მქონოდა. სპორტში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე ბრძოლა მქონდა, რომელშიც დავმარცხდი. ძალიან ღირსეული მეტოქე მყავდა, მაგრამ ჩემი პირობა შევასრულე. ვინაიდან პროფესიონალური ლიგა პირველად ჩატარდა, სპორტსმენებსაც უფრო მეტი მოტივაცია გვქონდა, რადგან ასეთი ჯილდოები აქამდე არ ყოფილა და ახლა გაგვანებივრეს. წარმატებას ვუსურვებ ამ ტურნირს, რადგან ვფიქრობ, რომ ძალიან განვითარებადია და ქართულ უშუს დიდ წარმატებებს მოუტანს.

რაც შეეხება ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ხანგრძლივი რეაბილიტაციის პროცესი დავასრულე, მაგრამ ისეთ ფორმაში ჯერ ვერ ვარ, რაც სასურველია და რისთვისაც ვიბრძვი. 2 წლიანი პერიოდი არც ისეთი პატარა დროა და ფორმის აღსადგენად გარკვეული დრო არის საჭირო.

საკმაოდ ძლიერი მეტოქე შემხვდა. კარგი წინააღმდეგობა გამიწია. ძირითადად, ჩემი ტაქტიკის მიხედვით ქულებზე მუშაობა მქონდა გადაწყვეტილი და პირველივე რაუნდიდან მხოლოდ იმ დარტყმების გაკეთებაზე მქონდა აქცენტი, რაც შედეგს აუცილებლად მოიტანდა. პირველი რაუნდის შემდეგ პატარა ცვლილებები დაგვჭირდა, რაზეც ჩემმა სეკუნდანტებმა გიორგი ცისკარაულმა და ილია დაიაურმა მიმითითეს და საბოლოო ჯამში ამ ყველაფერმა დადებითი შედეგი მოიტანა და გამარჯვებამდე მიმიყვანა.“

***შეგახსენებთ, პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში” ევრაზიის პროფესიონალური სანდას ლიგა” გაიმართა.***

ილია მარტყოფლიშვილი

# დედოფლისწყაროს მთავარი ნაძვის ხე აინთო



***2023 წელი ბოლო დღეებს ითვლის. ადამიანები ახალ წელს ელოდებიან იმედებით და უკეთესი მომავლის რწმენით. საახალწლო განწყობა უკვე ყველგან იგრძნობა- სახლებსა თუ ქუჩებში, მარკეტებსა თუ დაწესებულებებში... დედოფლისწყაროს ქუჩებიც, რამდენიმე დღეა, საახალწლოდ მოირთო. 22 დეკემბერს დედოფლისწყაროში მთავარი ნაძვის ხეც აინთო. ნაძვის ხის ანთებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან მალხაზ მერაბიშვილთან და თანამშრომლებთან ერთად დაესწრო. მათთან ერთად იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.***

„დღეს საზეიმოდ განათდა ქალაქის მთავარი ნაძვის ხე. ჩვენი ქალაქი საახალწლოდ ძალიან ლამაზია. დღითიდღე სულ უფრო და უფრო იმატებს საახალწლო განწყობა. მინდა ყველას მოგილოცოთ კარსმომდგარი ახალი წელი, რომლის ლამაზად შემოსვლისთვის დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ახალი წლის სიმბოლოსთან, ღია ცის ქვეშ, საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივები მონაწილეობდნენ. ნაძვის ხის ანთების ცერემონიალს დედოფლისწყაროელები ესწრებოდნენ, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ასეთი ლამაზი დედოფლისწყარო, დიდი ხანია, არ ახსოვთ.

კულტურის სახლის მიმდებარე სკვერში მოეწყო საახალწლო სოფელიც, რომელიც მოსახლეობისთვის უკვე იქცა მიმზიდველ ადგილად.

ინგა შიოლაშვილი



# ულოცავენ!

## ნანა აფციაურს!

ჩვენო ძვირფასო ნანიკო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს 26 დეკემბერს და დამდეგ შობა-ახალ წელს!

***საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები ოჯახებით:*** თამაზ ჯანიკაშვილი, ზურა თეთვაძე, ივერი ჭუჭულაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, ავთანდილ ჯანაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, მაყვალა ჯორკოშვილი, თამაზ პაპაჩაშვილი და მაყვალა მამულაშვილი

# საახალწლო მილოცვა ჩემს საყვარელ ადამიანებს

ჩემო ძვირფასო, საყვარელო ადამიანებო, მიიღეთ ჩემგან მილოცვა. ახალი 2024 წლის დადგომა, ყველა თქვენგანისათვის იყოს, სიყვარულის, სიხარულის და დოვლათის მომტანი. მინდა იცხოვროთ ყველამ, ბედნიერ აყვავებულ საქართველოში. განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო ის კეთილი ადამიანები, რომლებიც ყოველთვის მიდგანან გვერდში ამ გაჭირვების დროს. კერძოდ ჩემი გვარის ადამიანები-ვაჟა, ბაჩუკი, გოდერძი, გია, ზურო, გიგა, ბელა, დოდო, ჟუჟუნა გონაშვილებს. გონაშვილებმა, სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, იმრავლეთ, იხარეთ, დიდხანს იცოცხლეთ, უმტკივნეულოდ. ყველანი მიყვარხართ გულით. ასევე მინდა მივულოცო ეს ახალი წელი ჩემს ყოფილ უფროსებს **ნოდარ მარტყოფლიშვილს** და **ტარიელ ღარიბაშვილს.** ისე გეცხოვროთ, რომ ყველას თქვენთვის მიებაძოს სიკეთის კეთებაში. ყველას აქედან გილოცავთ თქვენს ცოლ-შვილთან, შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან ერთად, ყოფილიყავით ღმერთისგან დალოცვილები. ყველას მიგეღწიოთ ჩემს ასაკამდე და მერეც ტკბილად გაგეგრძელებინოთ სიცოცხლის წლები.

*პატივისცემით, 85 წლის* **ციცინო გონაშვილ-მაჩაბლიშვილი**

# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 25.12 | | სამშაბათი 26.12 | | ოთხშაბათი 27.12 | | ხუთშაბათი 28.12 | | პარასკევი 29.12 | | შაბათი 30.12 | | კვირა 31.12 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 5° | –1 ° | 9° | 1° | 12 ° | 1 ° | 11° | 0° | 9° | 0 ° | 10° | 0 ° | 10 ° | 0 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**